

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განპირობებულია იმ ნორმების სრულყოფის აუცილებლობით, რომელიც არეგულირებს არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან დაკავშირებულ საკითხებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმირების ფარგლებში, შეიქმნას დამატებითი გარანტიები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებული ნორმების ალტერნატიული სქემის ამუშავებისთვის.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წამოდგენილი კანონპროექტის თანახმად, არასრულწლოვანის განრიდების ან მედიაციის პროცესში ჩაბმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან უკვე დაწყებული დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. ცვლილებების შესაბამისად იქმნება დამატებითი სტიმული არასრულწლოვანის მიერ მასთან დადებული ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულებისა. თუ ხელშეკრულება არაჯეროვნად იქნა შესრულებული არასრულწლოვანის მიერ, პროკურორს ეძლევა უფლებამოსილება, დასაბუთებული დადგენილებით დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივის დევნა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გაველენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღებით სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ დაეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:
ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
არ არის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან მიმართებაში.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:
საქართველოს პარლამენტის წევრები: ღაშა თორდია და კახაბერ ანჯაფარიძე.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრები: ღაშა თორდია და კახაბერ
ანჯაფარიძე.